საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 675 2019 წლის 28 მარტი ქ. თბილისი

ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულების ფარგლებში, ამავე განკარგულებით დელეგირებული უფლებამოსილებების განმახორციელებელ მუნიციპალიტეტებს მიეცეთ უფლება, ერთობლივი შესყიდვის ფარგლებში, საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით, შესაბამისი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, ჯამში არა უმეტეს 1 200 000 (ერთი მილიონ ორასი ათასი) ლარის ფარგლებში, განახორციელონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, CPV – 71300000 კლასიფიკატორის კოდით.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**